ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოსთვის-მსოფლიოსათვის“

კლიმატის კვირეული საქართველოში

2020 წელი

Friends of the Earth Georgia

Supported by:
Federal Ministry for the Environment, Nature Conservation and Nuclear Safety

BUND
FRIENDS OF THE EARTH GERMANY

კლიმატის გლობალური ცვლილება

- კლიმატის გლობალურური ცვლილება დადასტურებული პროცესია, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს!
- კლიმატის გლობალური ცვლილება დაკავშირებულია ტემპერატურის მატებასთან, რომელიც გამოწვეულია დედამიწის ატმოსფეროში ზოგიერთი გაზის გადაჭარბებული კონცენტრაციით.
- კლიმატის გლობალური ცვლილება აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც დაფიქსირდა საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა და გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები.

კლიმატის გლობალური ცვლილების დროს:

- შეიცვლება და გადაგვარდება ეკოსისტემები, უმრავლესობა გაქრება;
- შეიცვლება/გაქრება ცხოველთა, მცენარეთა სახეობების გავრცელების არე;
- გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეული კლიმატის ცვლილება უარყოფითად აისახება გარემო პირობებზე: გახშირდება ტყის ხანძრები; მოსალოდნელია წყალდიდობები, გვალვა, შტორმი და ქარიშხალი;
- შემცირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე ნიადაგების გამოყენების შესაძლებლობა.
- და ა.შ.

რა უნდა გავაკეთოთ კლიმატის გლობალური ცვლილების შესამცირებლად?

- რადგანაც კლიმატის გლობალური ცვლილების ერთერთი გამომწვევი მიზეზი ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის ზრდაა, უნდა შევამციროთ ამ გაზების ემისია, მათი მშთანთქმელების გაძლიერებით;

- საქართველომ, როგორც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციასთან მიერთებულმა ქვეყანამ, აღებული ვალდებულებით ხელი უნდა შეუწყოს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც შეზღუდავს სათბურის გაზების ემისიას და გააძლიერებს ამ გაზების მშთანმთქმელებს.

==========

მსოფლიოს ჩართულობა კლიმატის გლობალური ცვლილების შესამცირებლად

კლიმატის გლობალური ცვლილების შესარბილებლად მსოფლიო საზოგადოებამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ფიქრი, როდესაც კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. გამოიცა არაერთი სამთავრობათაშორისო შეთანხმება და დეკლარაცია.

1992 წელს კი, მსოფლიოს მთავრობებმა მიიღეს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომლის მიზანიც იყო ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციის სტაბილიზაცია იმ დონემდე (კონვენციის მიერ მოთხოვნილ ჩარჩოებში), რომ გამორიცხულიყო კლიმატზე ანთროპოგენური ზემოქმედება.

კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1994 წელს.

კონვენციის მიღების შემდეგ კიდევ მრავალ შეთანხმებას მოეწერა ხელი. მათ შორის არის პარიზის შეთანხმება, რომელიც მიიღეს კონვენციის ფარგლებში 2015 წელს. შეთანხმებას ხელი მოაწერა 196 ქვეყნის წარმომადგენელმა.

პარიზის შეთანხმება მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გაძლიერებას, მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით და ყველა ქვეყნისგან მოითხოვს წვლილის შეტანას.

ხელმომწერმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება, რომ ეკონომიკური განვითარების პარალელურად, შეამცირონ კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბური

გაზების გაფრქვევები, დაბალემისიანი განვითარების გზით. შეთანხმება, ხელმომწერ ქვეყნებს ასევე ავალდებულებს უზრუნველყონ თანმიმდევრული, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების (NDC) მომზადება, შეტყობინება და წარმოება, რომლის მიღწევასაც აპირებენ 2020 წლისთვის.

* * *

მსოფლიოში აქტუალურობას არ კარგავს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პროცესები. საზოგადოება კვლავაც ერთიანდება გლობალური კლიმატის ცვლილების შესამცირებლად. ერთერთი ასეთი მასშტაბური აქტივობაა კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელსაც საფუძველი 2009 წელს ნიუ იორკში (Clima-te Week NYC) ჩაეყარა და მას შემდეგ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება.

„კლიმატის კვირეული" ერთერთი საერთაშორისო სამიტია, რომელშიც უამრავი ადამიანი მონაწილეობს. ის დაარსდა „კლიმატის ჯგუფის" ინიციატივით და ქალაქ ნიუ იორკის, გაეროსა და სხვა ორგანიზაციების წარმატებული პარტნიორობით შედგა. კვირეულის მიზანია მსოფლიო საზოგადოების მობილიზება და გაერთიანება გლობალურ კლიმატის ცვლილებასთან გასამკლავებლად.

2020 წლის კლიმატის კვირეული სტარტს ნიუ იორკიდან აიღებს და მისი მთავარი გზავნილია: „ნიუ იორკისთვის, მსოფლიოსთვის". 2020 წლის კლიმატის კვირეულის ფარგლებში, სხვადასხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილდება COVID 19-ის გამოწვევებზე.

„კლიმატის კვირეული-2020" მსოფლიოს მასშტაბით 21-27 სექტემბერს ჩატარდება!

„კლიმატის კვირეული“ საქართველოში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს მიერ, 2009 წლიდან სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნება.
გამონაკლისი არც მიმდინარე წელია. მიუხედავად პანდემიის გამოწვევებისა, საქართველოში კლიმატის კვირეულის მსოფლიო კამპანიის პარალელურად 21-27 სექტემბერს მწვანეთა მოძრაობის ორგანიზებით, პროექტის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება კლიმატის ეროვნული პოლიტიკის შემუშავების“ ფარგლებში, მრავალი ღონისძიება იგეგმება.
ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართული, პროექტის ფარგლებში შექმნილი საზოგადოებრივი ქსელის წევრები საქართველოს რეგიონებიდან. შექმნილია ღონისძიებების პროგრამა, რომელში მონაწილეობაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

==========

2020 წლის კლიმატის კვირეულის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- სუფთა ენერგიაზე გადასვლა
- ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა
- მრეწველობა და გარემო
- ფინანსები, ინვესტიციები და სამუშაო ადგილები
- საკვები და მიწათსარგებლობა
- ბუნება და მეცნიერება
- აშშ და საერთაშორისო პოლიტიკა
- ახალგაზრდობა, საზოგადოებრივი მობილიზაცია და სამართლიანობა
- მდგრადი მოგზაურობა და ტურიზმი
- კლიმატის გავლენა და ადაპტაცია

==========

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:
https://www.climateweeknyc.org/climate-week-nyc-2020

„საქართველოსთვის-მსოფლიოსთვის“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავერთიანდეთ კლიმატის გლობალური ცვლილებით გამოწვეული პრობლემების შესამცირებლად!



პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელებაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ მიერ „დედამიწის მეგობრები-გერმანია (BUND)“ თანამშრომლობით,
„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციის და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (**BMU**)“ მხარდაჭერით

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო,“ მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

თბილისი, სლავა მეტრეველის N4. 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21

ელ. ფოსტა: info@greens.ge

ვებ-გვერდი: www.greens.ge